დამტკიცებულია

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული
მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის
ბრძანებით №48 10 დეკემბერი 2021 წელი

დანართი 1

დირექტორი ზ. შევარდნაძე

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტს შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით.

2. პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველსაყოფად, მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ცვლის პროგრამის მისაღწევ მიზნებს და შედეგებს, ცვლილებები განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ხოლო გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილი მოდულების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შესაბამისად წინამდებარე წესში აღწერილი პროცედურებით.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების დადგენას არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს შორის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში,პროფესიული სტუდენტისათვის ქმნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების შესაძლებლობას.
4. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს იმავე ან მსგავსი მიმართულების სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

5. შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
6. მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შესახებ მოტივირებულ გადაწყვეტილებას ღებულობს კოლეჯის დირექტორი კოლეჯში შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შესაბამისი პროგრამის სპეციალისტების, დამსაქმებლების და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირების) დასკვნის საფუძველზე; პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაო ჯგუფი ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომიჯნავე პროგრამასთან გაერთიანების შესაძლებლობის საკითხი და ინფორმაცია მიაწოდოს როგორც პროფესიულ სტუდენტს ასევე კოლეჯის დირექციას. ამავე დროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე მოიძიოს სხვა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის შემთხვევაში ინფორმაცია მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტს.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯში დასაშვებია მხოლოდ მომიჯნავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება. გაერთიანებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილი სწავლის შედეგების აღიარებას.
8. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.